

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N7

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65

17 მაისი 2021 წელი
14: 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გელა ჩიკვაძე, გიორგი ივანიაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ოლეგი მიქელთაძე,თამარ შენგელია, ვარლამ გიორგაძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომა არ ესწრებოდა: რამაზ არველაძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირები: ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - ზვიად კაპანაძე.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გელა ჩიკვაძე (კომისიის თავმჯდომარე)
კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის მუქედის ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩების სახელდების თაობაზე;

მომხსენებელი: გიორგი ივანიაძე

2. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N63-ში, 573 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 31,01,26,219) განთავსებული შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე მდებარე 27,5 კვ.მ. ფართის სსიპ „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის“-თვის (ს/კ 203851509) უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე, თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხსენებელი: ზვიად კაპანაძე

3. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 აპრილის N10 დადგენილებაზე სამართლებრივი დასკვნის გაცნობის თაობაზე;

მომხსენებელი: გელა ჩიკვაძე

4. პეტიციის ზღვარის ცვლილების შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციის „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო (LDA Georgia)“ მომართვის გაცნობის თაობაზე;

მომხსენებელი: გელა ჩიკვაძე

5.სხვადასხვა.

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის მუქედის ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩების სახელდების თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სოფელ ზედა მუქედის N01 და N04 ქუჩებს, რომლებიც N10 ქუჩის გაგრძელებას წარმოადგენენ, მიენიჭოს მიხეილ დვალიშვილის სახელი, რაც კიდევ ერთხელ იქნება მისი ღვაწლის დაფასება და ხაზგასმა, რომ მისი სახელი სამუდამოდ დარჩა საქართველოს ისტორიაში.

წარმოდგენილი საკითხი კომისიამ მიიღო ცნობის სახით, რომელიც შეაფასა დადებითად .

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

/დანართი N2/

მოისმინეს :

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მალხაზ მამასახლისმა (მომხსენებლის ზვიად კაპანაძის არ ყოფნის გამო) კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N63-ში, 573 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 31,01,26,219) განთავსებული შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე მდებარე 27,5 კვ.მ. ფართის სსიპ „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის“-თვის (ს/კ 203851509) უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე, თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხსენებელმა განმარტა, რომ საარჩევნო კომისიის მიერ შემოსულია განცხადება 27,5 კვ.მ ფართის უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე. ამ საკითხთან დაკავშირების საჭირო არის საკრებულოს თანხმობა.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ. კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

/დანართი N3/

გადაწყვეტეს: წარმოდგენილი საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

მოისმინეს :

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 აპრილის N10 დადგენილებაზე სამართლებრივი დასკვნის გაცნობის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხის მიმართ უფრო დეტალურად ვისაუბროთ ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

/დანართი N4/

გადაწყვეტეს: წარმოდგენილი საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს :

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაძემ კომისიის წევრებს გააცნო პეტიციის ზღვარის ცვლილების შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციის „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო (LDA Georgia)“ მომართვის გაცნობის თაობაზე;

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

/დანართი N5/

გადაწყვეტეს: წარმოდგენილი საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ წარმოდგენილ საკითხს გავაცნობთ ბიუროს წევრებს და როგორც საჭიროთ ჩავთვლით უმრავლესობით ისე გადავწყვიტავთ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გელა ჩიკვაძე
საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის სხდომის თავმჯდომარე